საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — ც. მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი მაისი 18
1921 წ.
№ 64
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანნა ფირანის ასული ძმა მიხეილი თავის მეუღლით ეკატერინე ბუდაძეთი, დენი ნინა და მარიამი ალექსანდრე ფირანის ძე მთვარაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

## ალექსანდრე ივანეს ძე ბუდაძე

პანაშვიდი დღეს საღ. 7 საათზე ჟიმოლევის ქ. № 32. გამოსვენება მოხდება მაისის 19-ს სამების ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს ეკლესიის გალავანში. 999.

ღრმად დამწუხარებულნი ანა ივანეს ასული, სოფიო პეტრეს ასული და ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე ყიფიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 16 მაისს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილი, მეორისა მეუღლე და უკანასკნელის ძმა

## გიორგი ალექსანდრეს ძე ყიფიანი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს 19 მაისს დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, საკუთარი ბინიდან (მატინოვის ქუჩა № 34). 993

## ქართველ ხელოვანთა საერთო კრება.

ხუთშაბათს, მაისის 19-ს, საღამოს 6 საათზე

## ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის, 1ჰ)

დანიშნულია საქართველოს ხელოვანთა

## საერთო კრების გაგრძელება

განსახილველია: 1) ხელოვანთა კავშირის წესდება და 2) მიმდინარე საკითხები.

მთავარი კომიტეტი.

## საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის დადგენილებით ქ. ტფილისში მაისის 22-სათვის დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების

## კონფერენცია

კონფერენციის განსახილავ საგნებად დანიშნულია:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება,
2. საკონტროლო კომისიის მოხსენება,
3. მოხსენებები ადგილებიდან,
4. სამეცადინეო გეგმა და საორგანიზაციო საკითხები,
5. კაპიტალიზმი და მსოფლიო რევოლიუცია,
6. ინტერნაციონალი,
7. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა და
8. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 50 წევრზე ერთი დელეგატი, სადაც ამაზე ნაკლებია მაინც ერთი. კონფერენცია ნებადართულია.

დელეგატები ჩამოსვლისას მიმართავენ ამხ. ლომთაძეს (საღამოს 4—6 ს.) —ჭავჭავაძის ქ. № 9. ყოველგვარი მიმოწერა ცენტრალურ კომიტეტთან, კონფერენციამდე, ამავე მისამართით უნდა აწარმოოთ.

961 საქართ. ახალ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტი.

კბილის ექიმმა

## აპოლონ ურუშაძემ

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

## ახალ საზღვართან

ერის საკითხი.

ცხოვრების გამართლება მხოლოდ პიროვნებას შეუძლიან. პროგრესი—პიროვნებათა შემოქმედებითი პოტენციის გამომჟღავნებაა მხოლოდ. და მაშასადამე კოლლექტიურ ყოფნას აზრი და მნიშვნელობა ეძლევა იმდენად, რამდენადაც შემკრებლობითი ძალა-ღონარი ემსახურება თვითეულ პიროვნების წინმსვლელობას, განვითარებას. ჯგუფურ ცხოვრების ბორკოტება მხოლოდ ამით შეიძლება გამოსყიდულ იქნნეს. და ისტორიაც ამ მარივ აახლოვებდა ადამიანებს. დაახლოვებამ კი შექმნა ბევრი საერთო პირობები, რომელნიც თანდათანობით ჰქმნიდნენ ამა თუ იმ ჯგუფის სხვაობის შეგნებას. ეროვნულ განვითარების ძალებიც აქ გამოჩნდნენ. ერთიანობის და დამოუკიდებლობის ცნებები გადიქცნენ ეროვნულ გამოჩენის მთავარ საშუალებად. ამა თუ იმ ერის ისტორიასთან ერთად იზრდებიან ეს ცნებებიც, და გაურკვეველ ინტინქტიდან ცნობიერ იდეად იქმნებიან. და დღეს, ეს მთლიანობის და დამოუკიდებლობის შეგნება, მის მქონე ერს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის წადილს უღვიძებს.

საკუთარი სახელმწიფოს ქონება და მისი პირობით, უმაღლეს ძალა-უფლების ხელთ-მოგდება, არა ხელმწიფე ერს ათანასწორებს ხელმწიფე ერებთან, და ამ გათანასწორებით კი მთლიანობის და დამოუკიდებლობის რეალიზაციას ახდენს. ამ მოვლენაში უსათუოდ პიროვნების განთავისუფლების სურვილი უნდა დავინახოთ. პიროვნება ხომ უკავშირო არსი არ არის, კერძო ინტერებით დაკეტილი. იგი ერის ნაწილობის შემგნებია, ერის ინტერესებით ცოცხალი და მომქმედი. და სხვა ინტერესთა შორის, პიროვნება ერის პოლიტიკითაც არის დაინტერესებული.

რამდენადაც პიროვნება თავის დამოუკიდებლობის მოსურნეა, იმდენად იგი ერის დამოუკიდებელ პოლიტიკასაც მოითხოვს, და როგორც ვხედავთ, ამ მოთხოვნილების განსახორციელებლად დღეს დიდი ბრძოლაც სწარმოებს. და როგორც კლასობრივი ბრძოლა ჩვენ მიერ გამოცხადებულია წმინდა ბრძოლად, ისევე უნდა მივიჩნიოთ ეროვნულიც, და მუდამ გვახსოვდეს მიშლეს ნათქვამი: —„პიროვნება წმინდა რამ არის. იმდენად, რამდენადაც ერი იღებს პიროვნების ხასიათს, მისი ხელშეუხებლობაც პროპორციულად იზრდება. ეროვნულ პიროვნების ხელის შეხება, ყველა ბოროტმოქმედებათა შორის უდიდესია“-ო. და ამ ბოროტმოქმედებით არის სავსე კაცობრიობის ისტორია. გაბატონებული სახელმწიფოები მუდმივად სცვლიან ქვეყნის რუკას. და ვინც ეწინააღმდეგება ამას, დოქტორ კრუპპების ზარბაზნებით ათქმევინებენ დასტურს.

მაგრამ ფოლადით შეკრულ სახელმწიფოებს შიგნით დაუგროვდათ ბევრი ასაფეთქებელი ნივთიერება, რის წინააღმდეგ რკინის სალტეები მეტად სუსტნი არიან. მილიტარული სახელმწიფოები მაინც ინგრევიან, და უნდა დაინგრნენ კიდეც. მათ არსებობას დღეს აღარა აქვს არავითარი სეზონი. დამნგრევ თეორიებმა მაინც გააკეთეს თავისი საქმე, და მეცხრამეტე საუკუნემ კი წამოაყენა სახელმწიფოს ახალი სახე: **ეროვნული სახელმწიფო.** ეს ეროვნულ მოძრაობის პროგრამა იყო, რომლის წინაშეც ნიადაგს ჰკარგავდა ძველი სახელმწიფოს განყენებული იურიდიული ფორმულა.

მეცხრამეტე საუკუნემდე, სახელმწიფოთა უმრავლესობა ხალხის ცოცხალ ძალას კი არ ემყარებოდა, არამედ ხელოვნურად იყვნენ შემდგარნი. ესა თუ ის ნაწილი, სახელმწიფოს ემორჩილებოდა ან კონტრაქტის ძალით, ან სხვა ამ გვარ მიზეზით. ამ გვარ სახელმწიფოთა ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ავსტრია და რუსეთი. აღსანიშნავია სხვათა შორის, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის კულტურის უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც ეროვნულად იყვნენ შემდგარნი, ბუნებრივი ზრდით, როგ. მაგ. საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია და სხ. ეს საუკეთესო მაჩვენებელია, თუ ეროვნულად შემდგარ სახელმწიფოს რამდენად საღად და სწრაფად შეუძლიან დაფარულ პოტენციის შემოქმედებით შეცვლა. ეს მოვლენა უკვე გაგებულია დღეს, და მიტომაც შეუძლებელი ჰხდება სახელმწიფოს შედგენა ეროვნულ ნატეხებით. ერს ესა თუ ის სახელმწიფო ვეღარ განიხილავს, როგორც მიწის საკუთრების მომენტს. ეროვნულ მოძრაობის მძლავრმა გაჩენებამ მოშალა ეს მისაკუთრების იარაღი.

მრავლად გაღებულმა მსხვერპლმა გამოაჩინა ძველ სახელმწიფო პრინციპის შინაგანი უნიადაგობა. ისტორიულ დრომის შემდეგი მოქმედება დაიწყო. თუმცა ამ მოქმედებასთან სდევს მორტირების ქუხილი და ყუმბარათა სტყვა, მაგრამ სამაგიეროდ ერთა ველურად გათელილი უფლებები ძალაში შედიან, და უფლების მომპოვებელიც ერის მძლე მარჯვენაა, რუსეთის რევოლიუციაც ამ ფაქტის წინაშე დადგა. ძველ სახელმწიფოს ჩარჩოთა ტეხის პროცესში, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელი ერები თან და თან დასცილდნენ ზამთრის სასახლის და კრემლის ორბიტოს, მოშორდნენ საკუთარ ნებით და როგორც მოსკოვპეტერბურგში კლასიურ რევოლიუციის სახელით ყველას ერთი ფრონტისკენ მოუწოდებდნენ, უფლება-აყრილმა ერებმა ნაციონალურ რევოლიუციით უპასუხეს. კლასიურ რევოლიუციის გასამარჯვებლად, უწინარეს ეროვნული საკითხი უნდა გადაჭრილიყო. ეს ვერ გაითვალისწინეს რევოლიუციის მეთაურებმა და მხოლოდ post factum ეროეროვნული საკითხი რევოლიუციის საკითხად გადიქცა, მხოლოდ დიდი ბრძოლისა და სისხლის ნთხევის შემდეგ, ეს საკითხი ჩამოხსნეს განყენებულ იდეათა სიმაღლიდან და პრაქტიკულად გადასაწყვეტ საკითხთა წეს-რიგში შეიტანეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად რევოლიუციის გამძლეობისა, მიუხედავად ახლად-შექმნილ სახელმწიფოთა არსებობისა, და მათი კატეგორიულ მოთხოვნილებისა დარჩნენ დამოუკიდებელ ერთეულებად, მაინც რუსეთის რევოლიუციის მეთაურები ვერ ახერხებენ ამ საკითხის შესაფერ სიმაღლეზე აყვანას, ვერ აკმაყოფილებენ ერთა სურვილს, რითაც იქსაქსება რევოლიუციონური ძალა. ეს დიდი მინუსია. საკითხი რადიკალურად სდგას. პასუხიც ასეთივეა საჭირო. დიპლომატიური კომბინაციებმა კარგა ხანია დაჰკარგეს ძალაც და ნდობაც. სიტყვიერი დაპირებანი ბეჯით განხორციელებას მოითხოვენ, წინააღმდეგ ეცემა თვით რევოლიუციის პრესტიჟი. ერთხელ და სამოლოოდ უნდა დაიხეს ძველი დოგმატიკა. უნდა გაიგოს ყველამ, რომ ერთა საკითხის გადაჭრა უდიდესი საქმე იქნება, და თუ რუსეთის რევოლიუცია ყველაფერს წაგებს, და მხოლოდ ერთ მცირე ერს გაანთავისუფლებს, ამით იგი ისტორიის წინაშე მაინც გამართლებული გამოვა, უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ყველა ერი, რომელიც მოითხოვს საკუთარ სახელმწიფოს, ამით იგი მოითხოვს თავის არსებობის პირობას, რის უფლებაც მას აქვს ყოველივე ეჭვის გარეშე. ეს თუ ვერ შეუგნია ჯერ ჯერობით ბატონობას ჩვეულ ერს, საკმაოდ შეგნებული აქვთ მონობა. გამოვლილებს და ამ უკანასკნელმა იციან, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის უქონლობით, ისინი ჰკარგავენ დამოუკიდებელ კულტურის შესაძლოებას, რაც ეროვნულ თვითმკვლელობას უდრის. ყველა უფლების მაძიებელმა ერმა იცის, რომ საკუთარ სახელმწიფოს გარეშე, იგი კვლავ რჩება ბატონ-ერის მოსახმარ მასალად, რითაც ისპობა მისი ინდივიდუალობა, და ესჯება ვაყინვა, ისტორიულ განვითარების გარეშე დარჩენა. დიახ, ყველა ეს იციან დღეს ამხედრებულმა ერებმა, საკუთარ მორალურ მეობას რომ არ სთმობენ, და მიტომაც მიაქვთ დაუზოგველად ყოველგვარი მსხვერპლი თავისუფლების ღმერთის წინაშე. რევოლიუციამ ძირიანად უნდა გადასჭრას ეს საკითხი, და რასაკვირველია არა ისე, როგორ სიურპრიზებსაც გვთავაზობს დღევანდელი სინამდვილე, დღევანდელი წადმ-უკუღმა მავალი პრაქტიკა.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ხელოვნება და შემოქმედება.

დიდებულ დროში ვცხოვრობთ.

ჩვენ წინ იშლება სტრიქონები, რომელნიც ჯერ კაცობრიობას თავის ისტორიაში მსგავსი რამ, შეიძლება არც კი ჩაეწეროს.

არამც თუ ერთ საუკუნეს, წელიწადს, ან თვეს, არამედ ერთ დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მსოფლიო აჯანყდა!

დიდებულ რევოლიუციის სახით აბობოქრდა მთელი ქვეყანა და ყალყზედ დამდგარი, შეშფოთებული და აქოთებული ზვირთს ზვირთზე ისვრის.

მსოფლიო ამოვარდა თვის კალაპოტიდან.

და წარღვნით მოისწრაფის ძველის წასალეკად—ახლის შესაქმნელად.

ის რაც დღეს ხდება ერთ დღეს არ დაგუბებულა. რამდენიმე წლების ნაზარდია და ნაკარნახევი.

კაცობრიობა საბედისწერო საკითხს მიუახლოვდა. მის ჩულის ფიცარზე ისევ „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხია მთელი თავისი სისასტიკით.

ფილოსოფიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ ცხოვრებას უნდა ვსთქვათ, რომ ის რაც ამ ჟამად ჩვენ გარშემო ხდება—ეს ძოწინააღმდეგე ძალთა ჭიდილია. ყველაფერი ეს ბუნებრივია, ცვალებადობითი პროცესი, რომლის შედეგი ან ერთი ძალის აუცილებელი გამარჯვება უნდა იყოს ან მეორის დამარცხება.

თანამედროვე საუკუნემ თვისი სახე, სულის სწრაფვა ჩამოაყალიბა თავის რევოლიუციონურ ვნების ყოფაში და პათოსში.

დღეს ორი უდიდესი ძალა ებრძვის ერთმანეთს:

კაპიტალი და პროლეტარიატი.

კაპიტალს სურს ჩაახრჩოს თავის სიმძლავრეში პროლეტარიატი და დაიმონავოს.

პროლეტარიატი კი აჯანყდა კაპიტალის წინააღმდეგ. მას უნდა კაპიტალი მოსპოს ერთი ჩაქუჩის დარტყმით.

კაპიტალი—აი სად არის კაცობრიობის უბედურობის სათავე.

დღეს ფოლადის და რკინის ხანაა. ძველი კულტურის გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია, საჭიროა ახალი ხაზები, ახალი გზა ახალ კულტურისკენ.

ახალმა კულტურამ თან უნდა მოიტანოს თვისი ატრიბუტები. იგი მოვა თავის განუკვეთელ ფუნქციებით. ახალღირებულობით, ახალ სახიერებით.

ადამიანის კულტურის ერთი უდიდესი ღირებულება არის—ხელოვნება.

რა სახეს მიიღებს ხელოვნება კაცობრიობის ცხოვრების განახლებასთან ერთ

როგორ გეზს აიღებს ხელოვნება?

რევოლიუცია მთლად ანადგურებს ცხოვრების ძველ წეს-წყობილებას, სპობს ძველ მიდრეკილებას და ჩვეულებას.

ხელოვნებაში ამას რევოლიუცია ვერ იზამს. რევოლიუცია ვერ მოსპობს ხელოვნების ძველ ტრადიციებს და კანონებს რომელიც გამოჭედილია ურყევ ესტეტიურ პრინციპებზე.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ პროლეტარულ და ბურჟუაზიულ ხელოვნებაზე.

მაგრამ საჭიროა კითხვა ასე დაისვას:

არსებობს თუ არა ცალკ-ცალკე ბურჟუაზიული და პროლეტარული ხელოვნება? ხელოვნება არისტოკრატიული და დემოკრატიული.

გადაჭრით უნდა ვთქვა, რომ ხელოვნების ასეთი კლასიფიკაცია სრულიად მიზანშეუწონავი და უმართებულოა.

ხელოვნება ყველასია, იგი არც ერთ კლასს არ ეკუთვნის.

„ხელოვნება—ხელოვნებისთვის“ ძველი გაგებით არ უნდა გავიგოთ. ხელოვნება იმდენად უნდა იყოს ხელოვნებისთვის, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ესტეტიურ განჭვრეტას და მხედველობას. „ხელოვნება—ხელოვნებისთვის“ არც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ხელოვნება მარტო ხელოვანისთვის და რჩეულთათვის იყოს მისაწვდომი და გასაგები.

„ხელოვნება—მასებისთვის“ აი მომავალ ხელოვანის გზა. და ეს მცნება არც იმას ნიშნავს როგორც ბევრს ჰგონია, რომ ქუჩაში გამოიტანოთ, ძირს დავცეთ ხელოვნების მაღალ ღირებულობა და მნიშვნელობა.

ბევრი იმ აბსურდამდის მიდის (რასაკვირველია, პროფანი რომელსაც ხელოვნებისა არა გაეგება რა) რომ ახალი ხელოვნება, ხელოვნება მომავალის უნდა შექმნან მუშებმა. ეს იგი მუშა, რომელიც ქარხანაში მუშაობს, უნდა მოსწყვიტოთ სამუშაო დაზგას, ან სამჭედლოზე ჩაჭერი ხელიდან გააშვებინოთ, ეგრედ წოდებულ „ხელოვნების ლაბარატორიაში“ შეასწავლოთ ლექსის ტეხნიკა, აძლევინოთ ფანქარი ხატვა ასწავლოთ ან რომელიმე ინსტრუმენტზე სწავლა დააწყებინოთ და ბოლოს ვირტუოზი გამოიყვანოთ.

ეს ისე გამოდის რომ პოეტობა, მხატვრობა, მუსიკოსობა ყოველ ადამიანს შესძლებია, ამისთვის არა ყოფილა ბუნებითვე თან დაყოლილი ნიჭი მიღებული, ან წინასწარი მომზადება ტექნიკური, ან სწავლა მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილი და გამაგრებული.

მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ და არიან ჯერ კიდევ ხალხი რომელთაც ჯერაც ვერ გაუგიათ რომ ხელოვნება—ხელოსნობა არ არის.

ხელოვნება—ეს კოსმიური წვა—ეს ადამიანის სულის ამაღლებელი, რომელიც მშვენიერების კაბებით უნდა გადატყდეს საერთო ცხოვრების სრბოლაში და ტემპერამენტში უნდა გახადოს ტლანქი აგიტაციის ბრმა იარაღად.

ხელოვნებას უნდა ეზიაროს ხალხი. ხელოვნება უნდა გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ძვირფასი. ეს სულ სხვაა—ეს მე მესმის და ლოზუნგიც „ხელოვნება—ხალხისათვის“ ასე უნდა ყოს გაგებული.

მე არ ვამბობ რომ მუშას რომელიც დაზგასთან მუშაობს და ხელები აქვს დაკოჟრებული მას არ ჰქონდეს ნიჭი დიდი შემოქმედებისა. მაგალითისთვის საკმაოა ავიღოთ შალიაპინის გენია, მაგრამ მუშამ რომ შალიაპინის საქმე გააკეთოს, იგი უნდა იყოს დაჯილდოვებული შალიაპინის „ღვთიური ცეცხლით“. თუ ეს გრწამთ, რასაც „ღვთიურ ცეცხლს“ ეძახიან უნდა გაიგოთ რომ შემოქმედების ნიჭი ყველას არ ეძლევა.

არიან რჩეულნი, რომელნიც ჰქმნიან საკვირველებას, რასაც უბრალო მომაკვდავი ვერ შესძლებს ვერასოდეს და თავის მოწოდებით იგი მოუწოდებს მთელ ხალხს ახალ ქვეყნისკენ, იქ სადაც ნეტარებაა და წუთიერი თავდავიწყებაა.

ხელოვნება—ბრძოლის ასპარეზი არ არის. იგი არ გეგონოთ ტრიბუნა, სადაც ყველას შეუძლიან ასვლა და თავისი აზრის გამოთქმა.

ხელოვნება ეს ის კერპია რომელიც არის სრული სიცრუე, ცხოვრებაში ჯერ არ ნახული და თვისთავად ყოველი ვის უხილავი, ის მცნება რომლის სიღრმეს ვერავინ ჩასწვდომია, მაგრამ რომლის წინაშე ყველა ლოცულობს და მუხლს იყრიკს.

ხელოვნება არც მეტაფიზიკაა და არც მშლე ფილოსოფია.

ხელოვნებას ნუ მოსთხოვთ იმას რაც ყოველ დღიურ ცხოვრებაში თქვენ თვალწინ ხდება, ხელოვნების ფარგალში ვერ შევა მთლად ცხოვრების მთელი სინამდვილე.

ერთად ერთი დანიშნულება ხელოვნების—ეს მშვენიერებაა. ადამიან ს სულიერი საზრდო, რომელმაც უნდა ალზაროს ხალხი ესტეტიურად და გაასპეტაკოს არსება უმაღლესი განცდით. დაუახლოვდეს სიკვდილის შვილი იმას, რასაც ეძახიან წმინდა ზიარების და კათარზისს.

და სადაც წმინდა ხელოვნებაა იქ არ არის განსხვავება და დაყოფა ხელოვნებ ს.

პროლეტარიატს შეუძლიან შექმნას ხელოვნება, მაგრამ მისი შემოქმედება უნდა დაიწყოს ესტეტიურ რკალიდან. წმინდა ხელოვნება ერთ რგოლში მოთავსდება. შეიძლება განსხვავება იყოს წინაარსში, ფორმაში, მაგრამ მიზანი და დანიშნულება ხელოვნების ერთი იქნება.

(დასასრული იქნება).

ვახტანგ გარრიკი.

## ახალი ამბები

— ოთხშაბათს, მაისის 18, საღამოს 8 საათზე ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში შესდგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებისა. მოხსენებას წაიკითხავს მედიცინის დოქტორი მ. კალანდარიშვილი—„საზოგადო ქირურგიის ქართულ ტერმინოლოგიისათვის“.

— **მანწავლებელთა კრება.** მაისის 19 საღ. 5 ს. რეალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია განათლებისა და სოციალისტურ კულტურის დარგში მუშაკთა საერთო კრება მომავალ კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

— **ქალაქის რევკომის სახალხო განათლებ ის განყოფილებასთან არსებული ბავშვთა სოციალური აღზრდის ქვეგანყოფილება აწყობს დიდების საბავშვო სახლში ბავშვთა ხელსაქმის გამოფენას სამი დღის განმავლობაში 16, 17 და 18 მაისს დილის 11 საათამდის.** დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ მობრძანდნენ. მისამართი: ყოფ. საბალონო სკოლის შენობა.

— **ქ-ნი ბერულავას მოხსენება.** პარასკევს, მაისის 20, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში ქ-ნი ბერულავა წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ქალი წარსულში, აწმყოში, და მომავალში“. დასწრება შეუძლიან არა სტუდენტ ქალებსაც. მოხსენება დაიწყება ზუსტ 5 საათზედ.

— **დღეს, საღამოს 8 საათზე სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია სახელმწ. უნივერ. სტუდენტთა კავშირის გამგეობის არა ჩვეულებრივი კრება.** პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს ამხ. გამგეობის წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

## პარტიაში

— **დღეს, საღ. 6 საათ. დანიშნულია ავლაბრის რაიონის კომიტეტის კრება,** რომელზეც დაწერება სავალდებულოა. კრება მოხდება ავლაბრის რაიონის ბიუროს ბინაზე.

## რადიო

**კონცესიების გეგმა.**

**მოსკოვი.** მაისის 4. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იმუშავებს კონცესიების გეგმას. უცხო სახელმწიფოთათვის საკონცესიო სამუშაოთა რიცხვში ჩარიცხულია: რკინის გზათა აშენება და წყლით მიმოსვლის მოწყობა საზღვაო ნავთსადგურების აშენება და დამმუშავებელ მრეწველობაში ახალ წარმოებათა მოწყობა. გადასწყვიტეს, უპირატესობა მისცენ ისეთ კონცესიებს, რომლებიც გამოიყენებენ წარმოების საუკეთესო იარაღებს.

**უპატიოსნო მოქმედება.**

**ხტამბოლი.** მაისის 2. გაზეთ „სტამბულში“ დაბეჭდილია ვრანგელის წერილი სეფრანგეთისადმი. ვრანგელი სწერს ჩემთვის ეხლა აშკარაა, რომ საფრანგეთი უპატიოსნოთ იქცეოდა: იგი დაგვპირდა, რომ დახმარებას აღმოუჩენდა რუს მხედრებს, ნამდვილად კი საფრანგეთის ხელის უფლებით უდამიანო მოპყრობის, მძიმე სამუშაოს, მოქანცულობისა და შიმშილის გამო მრავალი დაიღუპა.

**საქონელი ინგლისიდან.**

**როსტოვი,** მაისის 8. დეპეშით. ნოვოროსიისკში მოვიდა ინგლისური გემი, რომელმაც მოიტანა მანქანების სხვა და სხვა ნაყიდები ქარხნისათვის (კავროსტა).

**ხალხამი უცხოეთიდან.**

**ვარშავა,** მაისის 12. პოლონეთში მყოფ ტყვე წითელ არმიელებმა ახლად ამორჩეულ მოსკოვის საბჭოს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც საბჭოთა რუსეთის შრომის რესპუბლიკაში მოკლე ხნის განმავლობაში მოხვედრის სურვილს აცხადებენ.

**მუშა მუდმივ მხხნელია.**

**როსტოვი.** მაისის 12. კავკასიაში მოიპოვებოდა რამდენიმე ათი ათასი არშინი თეთრი მატერიისა. მაგრამ წითელი არმიის შესამოსავათ შესაფერისი საღებავების უქონლობის გამო მთელი ამოდენა მასალა გამოუსადეგარი იყო. გამოსავალი ჰპოვა მუშა გორცევმა. მან ხანგრძლივი ცდისა და ქიმიურ სხვა და სხვა ნივთიერე-

ბათა შეზავებით გამოიგონა შესაფერისი სოკის ფერის საღებავი. ამ ჟამად როსტოვში უკვე აწყობენ ფართო საფაბრიკო მასშტაბით ამ საღებავის წარმოებას.

**ამერიკის ნოტა.**

**კონსტანტინოპოლი.** გაზეთი „სტამბული“ იუწყება, ამერიკის მთავრობამ თავის წარმომადგენლების საშუალებით ჩააბარა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის და იაპონიის მთავრობებს ნოტა, რომელშიაც ამერიკის მთავრობა ზედმიწევნით გამოსთქვამს თავის შეხედულებას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მოჰყვა ომს, ნოტაში გატარებულია პრინციპი, რომ შეერთებული შტატები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ომში, აქვთ იმის უფლება, რომ მათ აზრი ჰკითხონ ყველა საერთაშორისო საქმეებში, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ცენტრალურ ევროპაზე გამარჯვებასთან. ამ პრინციპის ძალით, ამერიკის მთავრობა ამტკიცებს, რომ იაპონიას არა ჰქონდა უფლება მიეღო კუნძული იაპი ეს ადგილი სადაც ერთდებიან ტელეგრაფის მავთულები, ამერიკის პრესსამ იცის, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა არა ერთხელ განაცხადა პროტესტი მოკავშირეების ამ გადაწყვეტილების წინაღმდეგ და ამიტომ თითონ ეს გადაწყვეტილება უკანონოთ უნდა ჩაითვალოს. ამერიკის მთავრობა მოითხოვს, რომ კუნძული იაპი გამოცხადდეს თავისუფალ ინტერნაციონალურ პუნქტად (კავროსტა).

**მუშათა მოძრაობა ბოჰემიაში.**

**მოსკოვი.** მაისის 5. ჩრდილოეთ ბოჰემიის სალითონო მრეწველობაში ყველა მუშას ლოკაუტი გამოუცხადეს, რომ ხელი შეეშალათ მუშათა ხელში წარმოებების გადასვლისათვის. დააყენეს ძლიერი სადარაჯო და ცეცხლის მკრობი რაზმები. აუსტიგის ოლქში უმუშევრად დარჩა 1,700 მუშა, ბადენბახის ოლქში ქუჩაში გამოჰყარეს 12, ხოლო კარლებადის ოლქში 4 წარმოების მუშები. დათხოვნილ მუშათა საერთო რიცხვი აღწევს 100,000 კაცს. ელექტრონის სადგურების მუშებმა სოლიდარობისათვის გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება. მრეწველების მოქმედებამ შეაკავშირა მუშები საპასუხო გადამწყვეტი ზომების მისაღებად.

**ხახურხათო გადასახადი.**

**მოსკოვი,** მაისის 4. რ. კ. პ. ც. კ. დაადგინა; 1) გლეხთა მასებისათვის სასურსათო გადასახადის ყოველ ეხ ოივი გაშუქება ცხლანდელ მომენტში ჩაითვალოს უმნიშვნელოვანეს საქმედ. ყველა საგუბერნიო კომიტეტმა დაუყ ნებლივ წარმოადგინოს მოკლე სწორი ანგარიშები, თუ რა არის გაკეთებული მათ მიერ ამ ეხ ოივ, გაუგზავნოს ც. კ. სრული მასალა, აღნიშნოს ადგილობრივ აქ ძრული ყველა საკითხი და სასურსათო გადასახადით გამოწვეული გაურკვეველი საკითხები, წარმოადგინოს მოკლე ანგარიში ყოველ კვირეულად 3. გვაცნობოს თავისი პრაქტიკული წინადადებები 4. ყოვლად მიუღებელია სწრაფი კავშირის უქონლობა რაც იმაში გამოიხატა, რომ ც. კ. სასურსათო გადასახადის შესახებ სასწრაფო შეკითხვაზე, რომელიც რადიოთი დაიგზავნა და გაზ. „პრავდა“-ში დაიბეჭდა, მხოლოდ რამდენიმე კომიტეტმა გასცა პასუხი 5. საგუბერნიო კომიტეტების მდივნები პასუხს აგებენ აღნიშნულ განკარგულებების აუსრულებლობისათვის.

**ბოლშევიზმის როლი.**

**ანგორა.** მაისის 1. ანგორის გაზეთი „ამანი“ სპეციალურ წერილს უძღვნის საკითხს ბოლშევიზმის როლის შესახებ. რუსის საბჭოებმა, სწერს წერილის ავტორი, გააკვირვეს მთელი ქვეყნიერება. მხოლოდ რუსის კომუნიზმა შეიძლო დიდ რუსის ერში იმპერიალისტურ სულის

ლიკვიდაცია, რუსის კომუნიზმა იხსნა პროლეტარიატი ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან. რუსის კომუნიზმა მიიზიდა თავისთან თათრისა და თურქთა რესპუბლიკები და მოხიბლა ყველა ქვეყნის მუსულმანების გონება. წითელი არმია თავის დიდების მწვერვალზეა ასული. წითელი არმია დაარსებულ და დარაზმულ სომხეთისა და ფინლანდიის, ლატვიისა, საქართველოსა და აზერბაიჯანში. რომელთა მოსახლეობა 11 მილიონ სულს უდრის. ყველა ის რესპუბლიკები, რომლებიც იტანჯებოდნენ რუსეთის იმპერიალიზმის უღელ ქვეშ, სიამოვნებენ ამ ჟამათ თავისუფლებით. კომუნიზმი ვრცელდება მთელ მსოფლიოში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად სივისა, ბუხარისა, სპარსეთისა, ავღანისტანისა ინდოეთისა ჩინეთისა და ეგვიპტეს ერებმა შეადგინეს ერთი წითელი არმია.

## საქ. ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის დადგენილება

1, ყველა აფთიაქი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვისაც კი არ უნდა ეკუთვნოდეს და ვის განმგებლობაში არ უნდა იყოს, მთელი ინვენტარით, ხელსაწყობით, მედიკამენტებით და აგრეთვე მათი ლაბორატორიებით და საწყობებით გამოცხადებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საკუთრებათ.

2. სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებული აფთიაქები გადადის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და მათი მართვა გამგეობა სწარმოებს იმ წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით, რომელთაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

3. ყოველი აფთიაქის პატრონი, მოიჯარადრე, ან მისი მოადგილე ვალდებულია დარჩეს თავის ადგილზე და მიიღოს ყოველგვარი ზომები აფთიაქის წესიერად მოქმედებისათვის,—იმ დრომდე, სანამ აფთიაქები ფაქტიურად გადაეცემა ადგილობრივ რევკომებს.

4. ყველა აფთიაქის პატრონი, მოიჯარადრე ან მისი მოადგილე, უკეთუ წინააღმდეგობას გაუწევს აფთიაქების ნაციონალიზაციის განხორციელებას, გადამალავს ან გაიტანს აფთიაქიდან საქონელს, ინვენტარს ან სხვა ქონებას მიეცემა რევოლუციონური ტრიბუნალის სამართალში.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

მეშველი.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი

შ. ელიავა.

1921 წლ. მაისის „14“ ქ. ტფილისი სასახლე.

## ტობანიარის თემი

ეს თემი შესდგება ათი სოფლისაგან რომელთა შორის ყველაზედ უფრო შესანიშნავი სოფელი შვამთაა.

შვამთაში ყოველ კვირა დღე იმართება ბაზრობა, რომელსაც მრავალი საზოგადოება ესწრება სხვა და სხვა მხრიდან. თვით გაშენებულია მდინარე ყუშურის პირას.

ამავე ბაზარში სხვა დაწესებულებასთან ერთად იმყოფება აფთიაქი, რომელიც კერძო პირის ხელშია. აფთიაქის მეპატრონე ხან თვითონ განაგებს აფთიაქს და ხან იჯარით სცემს მას; ამიტომ იჯარით ამღები იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტ ფასებში გაყიდოს წამლები. ჯერ ისედაც ღარიბია აფთიაქი წამლების მხრივ. და რაც არის, ისიც ერთი-ასად იყიდება. რა უნდა ქნას ამ მუშა გლეხმა, რომელსაც ... ყიდულობს საზრდო ... შესძლებს კი ამოიღოს ... ხალოს? რა თქმა უნდა—ვერა, და იძულებულია ხელდაკრეფით გაჩერდეს: თუ გადაიტანა ავათმყოფობა ხომ კარგი, თუ არა და უნდა დაიღუპოს ოჯახის ერთი, ან რამოდენიმე წევრი.

უკვე მეორე წელიწადია მას შემდეგ, რაც ამ თემს ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ მიუჩინა საკუთარი (ერობის) ექიმი, რომელიც დღესაც დადის უფასოთ სოფლებში და ნახულობს ავათმყოფებს; მაგრამ დარიგება და რეცეპტების გამოწერა არ არის მაინც და მაინც უფასო წამალი ავადმყოფისთვის, არამედ საჭიროა აფთიაქის წამალიც, რომელსაც ტობანიერის თემის აფთიაქი მუშა-დარიბ ხალხისათვის ჯერ-ჯერობით არ იძლევა.

საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს ადგილობრივი რევკომის მიერ და გახსნილი იქნეს სახალხო აფთიაქი, რათა მშრომელ ხალხს ეძლევა ექნეს იაფ ფასეფში წამლის შეძენისა; ამას მოითხოვს მშრომელი ხალხის ბედნიერება და მრავალი ტანჯვის თავიდან აცდენის საჭიროება.

სოლომონ ყუბანაიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: კვირას, 15 ამ თვეს, სახელ. უნივერსიტეტში სოც.-ფედ. პარტიულ კრებაზე, ერთ ერთ მოუსვენარ მორეპლიკე ქალს უპასუხე, შეურაცყოფად ნუ მიიღებთ და ქალთა სქესს პოლიტიკაში ბედი არ წყალობს მეთქი, რამაც დიდი აუზაური გამოიწვია და კრების დასასრულს ქ-ნმა ელ. ციციშვილისამ და ნ. ბერულავამ უკადრისად მოიხსენიეს ჩემი პიროვნება. ასეთ საქციელზე მე არც მინდა ვუპასუხო: რადგან ლანძღვა გინების პასუხი ან რა უნდა იყოს, ხოლო უნდა განვაცხადო იმ კრების დამსწრეთა საყურადღებოდ, რომ რეპლიკის პასუხი ჩემი პირადი პასუხისმგებლობით არის ნათქვამი და განსაკუთრებით შეეხებოდა იმათ ვისაც მოწინააღმდეგეს მოსმენაც არ შეუძლია გულმშვიდად.

სერგო ამაღლობელი.

რედაქტორი თევდო ღლონტი.
გამოცემა ლენ. მთავარი კომიტეტისა.


ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხიფილისი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შეჯდებები.

ახალი მებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

**დაკარგულია პასპორტი**

მოცემული ოზურგეთის მილიციიდან გულჩინა სარქიონის ასული მენაბდეს სახელობაზე რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 994

**დავკარგე პასპორტი,**

მეტრიკული მოწმობა და ძველად მოცემული მოწმობა სამხედრო უფროსისგან. ყოველივე ზემოხსენებული საბუთები მეკუთვნოდა მე იაკობ გაბრიელის ძე კრიხელს, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 995

**დავკარგე** პირადობის მოწმობა აღებული მოლითის თემის რევკომიდან. გთხოვთ დღეიდან ჩაითვალოთ გაუქმებულად. მიხეილ ალექსანდრეს ძე ალხაიშვილი. 997

**დავკარგე** პირადობის მოწმობა მოცემული გამოჩინებულის თემის რევკომისაგან 13/V 1921 წ. რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად გიორგი გიგოს ძე გოგიტაძე. 998.

**დავკარგე პასპორტი**

მოცემული ქ. ბაქოში მე-5-თე კომისარიატიდ ნ თამარა ზ. მკურნალი გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულათ. 1000.